



## სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ყოველწლიური შეხვედრები გაიმართა

2019 წლის 20-24 მაისს, ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ყოველწლიური სტრატეგიული მრგვალი მაგიდის შეხვედრების მორიგი სერია გაიმართა.

შეხვედრები შეეხებოდა არასამთავრობო სექტორსა და სასამართლოს შორის თანამშრომლობის საკითხებსა და იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე სასამართლოს ორგანოები დგას როგორც წინასწარი მოკვლევის ან/და გამოძიების წარმოებისას

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სხვადასხვა ქვეყნებში, ასევე მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

მრგვალი მაგიდის შეხვედრებში მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები და პროკურორი, ასევე პროკურორის ოფისის, რეგისტრატურისა და სასამართლოს სხვა სექციების წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორის მხრიდან კი - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოდან შეხვედრებს ესწრებოდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის,  42-ე მუხლის  სამართლიანობის  საქართველო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლები.

**არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოში მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და მოუწოდეს პროკურატურის ორგანოს წარმომადგენლებს, გამოძიების ფარგლებში, ყურადღება გამახვილდეს ომის დროს ჩადენილ ყველაზე მასშტაბურ და მძიმე დანაშაულებზე, მათ შორის, ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაზე. ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მასშტაბურობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სასამართლოს პროკურორის ოფისმა ყველაზე მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დადგენა შეძლოს. შეხვედრის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა ასევე საქართველოში გამოძიების წარმატების მნიშვნელობაზე აფრიკის გარეთ რეგიონებისთვის, ვინაიდან საქართველოს სიტუაცია სასამართლოსთვის პირველი არა-აფრიკული გამოძიებაა, რომელსაც ზეგავლენა ექნება სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში სამომავლო მხარდაჭერის, ნდობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს დაბარალეულ დევნილთა ამჟამინდელ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სასამართლოსთან არსებული დაბარალეულთა ნდობის ფონდის მხრიდან ომის შედეგად დაბარალეულ პირთა დახმარების მიზნით მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების საჭიროებაზე. ყურადღება გამახვილდა ასევე საქართველოში სასამართლოს ადგილობრივი ოფისის გაძლიერებისა და დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსით აღჭურვის აუცილებლობაზე, ასევე აქტიური საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების**

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საჭიროებაზე, მათ შორის, დაზარალებულ პირებთან როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მანდატის, როლის და მიმდინარე გამოძიების შესახებ, ასევე სამართალწარმოების პროცესში მათ უფლებებთან დაკავშირებით.

თავის მხრივ, სასამართლოს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს საქართველოში მიმდინარე გამოძიების პრიორიტეტულობას და მნიშვნელობას. პროკურატურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა, მიმდინარე პროცესის კონფიდენციალური ხასიათისა და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე თავი შეიკავებს კონკრეტული დეტალების გამჟღავნებისგან. ნდობის ფონდის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ფონდი ამჟამად ახორციელებს დაზარალებულ დევნილთა მდგომარეობის შეფასებას და 2019 წლის ნოემბერში ფონდის გამგეობა გადაწყვეტს დაზარალებულთა მხარდაჭერის მიზნით კონკრეტული მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების საკითხს საქართველოში.

*მრგვალი მაგიდის შეხვედრებში არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოდან მონაწილეობდნენ ღია საზოგადოების ფონდისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კოალიციის ფინანსური მხარდაჭერით.*

## **ხელმომწერი ორგანიზაციები:**

- ადამიანის უფლებათა ცენტრი;
- საერთაშორისო სამართლიანობა;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი;
- წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი.